სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 9 (368) 2023 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ძალიან მაღალი თამასა უჭირავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი რეგიონის მასშტაბით; მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს უნივერსიტეტის განვითარებას და სამომავლოდაც აუცილებლად გავაგრძელებთ მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელების მხარდაჭერას, როგორც აკადემიური, ასევე, ინფრასტრუქტურული მიმართულებით.

გიორგი ამილახვარი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის (ავსტრია) რექტორი და ვიცე-რექტორი სტუმრად თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე დასასწრებად ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის (ავსტრია) რექტორი, პროფესორი ვოლფგანგ ფლაიშჰაკერი და ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში, პროფესორი ქრისტინ ბენდტლოუ ეწვივნენ.

ვიზიტის ფარგლებში, ავსტრიელმა პროფესორებმა დაათვალიერეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განახლებული, მეორე სასწავლო კორპუსი, კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი, თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა.

საპატიო სტუმრები შეხვდნენ თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორს, ასოცირებულ პროფესორს, ეკა ეკალაძეს და ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ემორის (ატლანტა, აშშ) უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორს, პროფესორ არჩილ უნდილაშვილს. შეხვედრაზე ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სპეციფიკას გაეცნენ.

დელეგაციის წევრებმა ოფიციალური შეხვედრა გამართეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიასთან, ვიცე-რექტორთან, პროფესორ ხათუნა თოდაძესთან და თსსუ-ის რექტორის აპარატის უფროსთან, ასოცირებულ პროფესორ ირინა კაპეტივაძესთან.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტთან მჭიდრო და წარმატებული კავშირის მრავალწლიანი ტრადიცია აქვს და დღემდე წარმატებით თანამშრომლობს როგორც აღნიშნულ უნივერსიტეტთან, ისე ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთ ავსტრიის საგანმანათლებლო ცენტრთან (AZW).

ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში

სექტემბერში თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დელეგაცია დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის, ასოცირებული პროფესორის, ეკა ეკალაძის, პედიატრიის კლერკშიფის თანახელმძღვანელის, კურსის – „გახდი ექიმი“ კოორდინატორის, ასოცირებული პროფესორის ნანი ყავლაშვილის, ნეიროქირურგიის კლერკშიფის ხელმძღვანელის, „გახდი ექიმის“ კურსის ინსტრუქტორის, ლია ხორბალაძის და შინაგანი მედიცინის (კარდიოლოგიის მიმართულების) კლერკშიფის განმახორციელებელი გიორგი კაჭახიძის შემადგენლობით, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში (აშშ).

ვიზიტს თსსუ-ის მხრიდან კოორდინაციას უწევდა პროფესორი არჩილ უნდილაშვილი, ხოლო ემორის უნივერსიტეტის მხრიდან – პროფესორი გორდონ ჩერჩვორდი.

მივლინების მიზანი იყო მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება, სასწავლო, კლინიკური და კვლევითი პროცესების გაცნობა-გაზიარება, საგამოცდო პროცესების მართვის პრინციპების, ასევე, აკადემიური პერსონალის განვითარების პროგრამების გაცნობა და სხვ.

პედიატრიის, შინაგანი მედიცინის (კარდიოლოგიის), ნეიროქირურგიისა და „გახდი ექიმის“ სასწავლო კურსების ფარგლებში თსსუ-ის წარმომადგენლები დაესწრნენ ლექციებსა და ტრენინგ-კურსებს.

აშშ-ში ვიზიტისას თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დელეგაციის წევრები შეხვდნენ ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის წარმომადგენლებს, მათ შორის, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის განვითარებაში ადრიდანვე ჩართულ პროფესორებს: გორდონ ჩერჩვორდს, მერი ჯო ლეკოვიჩს და ჯოელ ფელნერს.

ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის სასწავლო და კვლევითი სივრცეები, მათ შორის – ანატომიის ლაბორატორია, სიმულაციური ცენტრი, გრეიდის ჰოსპიტალი, ვინშიფის მემორიალური ჰოსპიტალი და სხვ.

უღმის (გერმანია) უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის პროფესორი იოაჰიმ ფრაიჰორსთი თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ულმის უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის (გერმანია) პროფესორი იოაჰიმ ფრაიჰორსთი ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში, გერმანელი პროფესორი დაესწრო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას, სადაც მან თსსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.

ასევე, იოაჰიმ ფრაიჰორსთმა დაათვალიერა თსსუ-ის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი.

გერმანელი პროფესორი შეხვდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორს, ასოცირებულ პროფესორს, ეკა ეკალაძეს და ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ემორის (ატლანტა, აშშ) უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორს, პროფესორ არჩილ უნდილაშვილს.

იოაჰიმ ფრაიჰორსთი იმყოფებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში, სადაც გერმანელმა პროფესორმა სტუდენტებისთვის და ექიმებისთვის ბავშვთა პულმონოლოგიის აქტუალურ საკითხებზე ლექციათა კურსი ჩაატარა და გამართა კონსულტაციები.

აღსანიშნავია, რომ ულმის უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის (გერმანია) პროფესორი იოაჰიმ ფრაიჰორსთის ვიზიტი თსსუ-სა და გერმანიის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის საზოგადოებას შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა.

თსსუ-ის საპატიო დოქტორის, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის რადიაციული თერაპიისა და რადიოონკოლოგიის ცენტრის უფროსი ექიმის, ირმა კვიცარიძე, ვიზიტი თსსუ-ში

2023 წლის 26 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის (ავსტრია) რადიაციული თერაპიისა და რადიოონკოლოგიის ცენტრის უფროსი ექიმი ირმა კვიცარიძე.

თსსუ-ის რექტორთან, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიასთან შეხვედრის დროს, ქალბატონმა ირმამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, თუ როგორი წარმატებულია პროფესორ მანანა ქუთელიას სახელობის გაცვლითი პროგრამა, რომელიც ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკებსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის არსებობს. პროგრამის ფარგლებში, თსსუ-ის დიპლომამდელი/დიპლომისშემდგომი განათლებისა და საექთნო-საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკების ახალგაზრდა ექიმები სტაჟირებას გადიან ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკებში, იმაღლებენ კვალიფიკაციას და იღებენ საერთაშორისო დონის გამოცდილებას. ქალბატონ ირმა კვიცარიძის თქმით, პროგრამა დიდი ინტერესით სარგებლობს და იმედოვნებს, რომ მომავალში უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება. აღსანიშნავია, რომ ქალბატონი ირმას ძალისხმევით, შემუშავდება ახალი და საინტერესო პროექტები ავსტრიის კიდევ ერთ წამყვან უნივერსიტეტთან – გრაცის სამედიცინო უნივერსიტეტთან.

ვიზიტის ფარგლებში, ქალბატონმა ირმა კვიცარიძემ დაათვალიერა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის ახალი აუდიტორიები, თსსუ-ის მე-2 სასწავლო კორპუსი, რომლის რეაბილიტაცია და თანამედროვე ინფრასტრუქტურით მოწყობა 2023 წლის სექტემბერში დასრულდა. ის, აგრეთვე, გაეცნო დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სპეციფიკას, რომელიც 2013 წლიდან ემორის (ატლანტა, აშშ) უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება. ქალბატონი ირმა ეწვია „სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმს“; მან მაღალი შეფასება მისცა თსსუ-ში განხორციელებულ ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

„ვარდისფერი ოქტომბერი“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

12 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა თემაზე – „ერთად დავამარცხოთ ძუძუს კიბო”.

შეხვედრის მთავარ გზავნილს წარმოადგენდა ძუძუს კიბოს სკრინინგის პროგრამებში მონაწილეობისკენ მოწოდება. შეხვედრაზე დარგის სპეციალისტებმა საქართველოს პარლამენტის წევრებთან: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრთან, ქალბატონ ირმა ზავრადაშვილთან და აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრთან, ქალბატონ ნინო წილოსანთან ერთად, ისაუბრეს სკრინინგისა და ნაადრევი დიაგნოსტირების მნიშვნელობაზე; დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს სტუდენტებს საქართველოში მოქმედი „დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამაზე, სკრინინგ ცენტრებსა და იქ არსებულ სერვისებზე, ასევე, სამკურნალო პროგრამებსა და მათ დაფინანსებაზე.

დადგენილია, რომ სკრინინგ პროგრამაში მოსახლეობის 70%-ის ჩართულობა ძუძუს კიბოთი გამოწვეულ ლეტალობას 30%-ით ამცირებს, ამდენად, ადრეული დიაგნოსტიკა, კიბოს პრევენციის საუკეთესო საშუალებაა.

„ამ კამპანიის მიზანია გააქტიურდეს ძუძუს კიბოს პრევენციული ღონისძიებების გატარება, რადგან ეს არა მხოლოდ განკურნების, არამედ სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების გარანტიაცაა. აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების დიდი პასუხისმგებლობა აღნიშნულ კამპანიაში ჩართულობის თვალსაზრისით. თქვენ უნდა მიაწოდოთ საზოგადოებას სწორი ინფორმაცია და ხელი შეუწყოთ მოქალაქეებს პრევენციული ზომების მიღებისკენ, რაც უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის გარანტი იქნება“, – აღნიშნა საქართველოს პარლამენტის წევრმა, ირმა ზავრადაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიება პანელური დისკუსიის ფორმატში მიმდინარეობდა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით და დაადასტურეს კამპანიაში აქტიურად ჩართვის სურვილი.

შრი-ლანკას დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკის საპატიო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში, საქართველოსა და უკრაინაში, მისი აღმატებულება ქალბატონი ს. ჰასანთჰი ურუგოდავათთე დისსანაია თსსუ-ში

28 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ: შრი-ლანკას დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკის საპატიო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში, საქართველოსა და უკრაინაში, მისი აღმატებულება, ქალბატონი ს. ჰასანთჰი ურუგოდავათთე დისსანაია; შრი-ლანკას დემოკრატიული დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკის საპატიო კონსული საქართველოში, ქალბატონი ნინა მახვილაძე და კონსულის ასისტენტი, ქალბატონი ნესი კუპრეიშვილი.

დელეგაციის წევრებს უმასპინძლეს: რექტორის აპარატის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირინა კაპეტივაძემ, თსსუ-ის მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა დავით თოფურიამ და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თინათინ კილასონიამ.

შრი-ლანკას დემოკრატიული დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკის საპატიო და სრულუფლებიანმა ელჩმა თურქეთში, საქართველოსა და უკრაინაში, მისმა აღმატებულებამ, ქალბატონმა ს. ჰასანთჰი ურუგოდავათთე დისსანაიამ, მადლიერება გამოხატა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისამართით. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პატივისცემა და აღნიშნა, რომ აპირებს მომავალშიც ეწვიოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, რომელსაც მისი თქმით, შექმნილი მაღალი ავტორიტეტის გამო, შრი-ლანკადან სულ უფრო მეტი ახალგაზრდა მიმართავს სასწავლებლად.

ჰოტერდამის ერაზმუსის უნივერსიტეტის (ნიდერლანდები) პროფესორების ვიზიტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

5 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ERASMUS+-ის ახალი საგრანტო პროექტის ფარგლებში, როტერდამის ერაზმუსის უნივერსიტეტის (ნიდერლანდები) საერთაშორისო საჯარო კვლევითი ცენტრის (Erasmus MC) სამედიცინო განათლების პროფესორები: ლისბეტ ვან ევიკ ვან დენ ბოში და ჯუდიტ ლანდმან-ჯეგერსი ეწვივნენ. აღსანიშნავია, რომ Erasmus MC არის ერთ-ერთი პირველი აკადემიური სამედიცინო ცენტრი ნიდერლანდებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუმრებს შეხვდნენ: თსსუ-ის რექტორის აპარატის უფროსი, ასოცირებული პროფესორი ირინა კაპეტივაძე, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თინათინ კილასონია და ERASMUS+-ის პროგრამის ინსტიტუციური კოორდინატორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი ნინო კანდელაკი. შეხვედრაზე ისაუბრეს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გამოცდილებაზე ERASMUS+-ის პროგრამის ფარგლებში.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი, შეხვდნენ დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ ირმა მანჯავიძეს, ასოცირებულ პროფესორებს: პირდარა ნოზაძესა და დალი ჩიტაიშვილს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და როტერდამის ერაზმუსის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული პარტნიორული შეთანხმების ფარგლებში, 2024 წლის იანვრიდან დაიწყება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Erasmus+-ის საერთაშორისო კრედიტმობილობის (International Credit Mobility – ICM) გაცვლითი პროგრამა სტუდენტებისთვის და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია კახეთში

6-8 ოქტომბერს ნაფარეულში, ლოპოტაში – Lopota Lake Resort & Spa – ჩატარდა XV საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ჯანმრთელობა და ეკოლოგია“. კონფერენციას, ტრადიციულად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი, პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია და სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაცია ატარებს.

წლევანდელი კონფერენციის განსახილველი თემა იყო „ქართული ღვინის ფენომენი და მისი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე“.

კონფერენციაში მონაწილეობდა 80-მდე მეცნიერი საქართველოსა და უცხოეთიდან, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელიდან, რომელთაც წარმოადგინეს პრეზენტაციები ქართული ღვინის სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მოქმედებისა და სამედიცინო ეკოლოგიის თანამედროვე გამოწვევების მიმართულებით.

აუდიტორიას მიესალმნენ: საქართველოს განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი ნუნუ მიკეკვიჩი, თსსუ-ის წარმომადგენლები: პროფესორი ალიოშა ბაკურიძე, პროფესორი ნანა გორგასლიძე, ასოცირებული პროფესორი ლუიზა გაბუნია, თსსუ-ის ემერიტუსი პროფესორი ნელი ანთელავა, ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის დოქტორი რუსუდან ჯავახაძე, სტუმარი ისრაელიდან – პროფესორი, ვიქტორ როდოვი.

კონფერენციის მასალები დაიბეჭდება ჟურნალ – „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის“ სპეციალურ, კონფერენციისთვის განკუთვნილ ნომერში.

კონფერენციის მსვლელობის დროს გაიმართა პროფესორ ბიძინა ზურაშვილის და ასოცირებული პროფესორის, მარინა გიორგობიანის სახელმძღვანელოს – „სამედიცინო ეკოლოგია“ – მეორე განახლებული გამოცემის პრეზენტაცია.

გარდა ამისა, კონფერენციის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ თვალყური ედევნებინათ პროფესორ რამაზ ყურაშვილის – „შაქრიანი დიაბეტის პრევენცია – რისკის ფაქტორებიდან გართულებების მკურნალობამდე“ და თსსუ-ის საპატიო დოქტორის, ქალბატონი ნინო ჭუმბურიძის – „კარნიტინი – ნაცნობი და უცნობი პერსპექტივები ენდოკრინოლოგიაში“- პრეზენტაციების ონლაინ ჩვენებისათვის.

საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრი, გიორგი ამილახვარი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი, ბატონი გიორგი ამილახვარი და მინისტრის მოადგილე, ბატონი ნოდარ პაპუკაშვილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახლადრეაბილიტირებული მეორე სასწავლო კორპუსის გახსნას დაესწრნენ.

მინისტრმა აღნიშნა, რომ მიესალმება განახლებული ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ მიმდინარე სასწავლო პროცესს.

თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, აღნიშნა, რომ ეს მოვლენა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის გამორჩეულად ისტორიული მნიშვნელობისაა. საინტერესოა, რომ ახალ სასწავლო კორპუსში შენარჩუნებული და თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით რეაბილიტირებულია ისტორიული აუდიტორიები, სადაც მომავალ ექიმებს ათეულწლეების განმავლობაში ლექციებს უკითხავდნენ მედიცინის ქართველი კორიფეები, რომელთა მაგალითზე აღიზარდნენ კიდეც ექიმთა თაობები.

თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია და კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე სტუმრებს ესაუბრნენ თსსუ-ის წარმატებული საგანმანათლებლო პროცესის შესახებ; აღნიშნეს, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მოქმედმა აკრედიტაციის საბჭომ, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, სამედიცინო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების და პროცედურების მიხედვით, ყველა სტანდარტში უმაღლესი შეფასებით, საერთაშორისო აკრედიტაცია მიანიჭა თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ქართულ, ინგლისურ, რუსულენოვან პროგრამებს და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას. სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის და უცხოეთში მედიცინის პროგრამების კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისიის ერთობლივი გადაწყვეტილებით კი, მომავალი – 2024 წლიდან ევროატლანტიკურ სივრცეში აღიარებული იქნება დიპლომირებული მედიკოსის მხოლოდ ის პროგრამები, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია.

სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს თსსუ-ის ფიზიოლოგიის დეპარტამენტი, რომელმაც განახლებულ სივრცეში დაიდო ბინა; ასევე, განახლებულ, მეორე სასწავლო კორპუსში შეხვდა 2023-2024 სასწავლო წელს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის გუნდიც. პროგრამის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ეკა ეკალაძემ, სტუმრებს გააცნო პროგრამის სპეციფიკა, ისაუბრა ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასთან (აშშ, ატლანტა) მრავალწლიან ურთიერთობაზე, ამერიკული მხარის ჩართულობასა და როლზე პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიღწევებზე აშშ-ის სამედიცინო ლიცენზირების გამოცდებსა (USMLE) და აშშ-ის რეზიდენტურაში.

სტუმრები გაეცნენ თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სასწავლო პროცესით გათვალისწინებულ მიმდინარე პრაქტიკულ აქტივობებს: კურსის – „გახდი ექიმის“ – ფარგლებში მეხუთე სემესტრის სტუდენტებისთვის სიმულირებული პაციენტის მონაწილეობით სასუნთქი სისტემის ფიზიკალურ გასინჯვას, ქირურგიული კერვის პრაქტიკულ მეცადინეობას, სიმულაციურ ტრენინგს – „სიცოცხლის გადარჩენის ბაზისური ალგორითმი“ (BLS-Basic Life Support), რომელიც პირველსემესტრელ სტუდენტებთან საორიენტაციო შეხვედრების ფარგლებში, უფროსსემესტრელების მიერ ორგანიზებული აქტივობაა.

სტუმრები ეწვივნენ თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტთან არსებული ადამიანის გენომისა და ეპიგენომის კვლევით ცენტრს, დაათვალიერეს „სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმი“. უნიკალური, საუკუნისტოლი მუზეუმი ექსპონატთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ანთროპოლოგიური მასალები კი საინტერესო მულაჟებითაა წარმოდგენილი. ყურადღებას იპყრობს ემბრიოლოგიური ექსპოზიციაც – ძუძუმწოვრების ჩანასახოვანი განვითარების ადრეული სტადიების ამსახველი ექსპონატები და ა.შ.

სტუმრებმა პირველ სასწავლო კორპუსში კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრიც მოინახულეს, ასევე, დაათვალიერეს მეორე სართულზე განთავსებული, 160 პერსონაზე გათვლილი ახალი კაფეტერია.

„დღეს დავათვალიერეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრულიად რეაბილიტირებული და განახლებული ისტორიული შენობა, რომელიც აღჭურვილია უახლესი ლაბორატორიებით, აუდიტორიებითა და ხელსაწყოებით, ყველაფრით, რაც საჭიროა თანამედროვე სამედიცინო განათლების მისაღებად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ძალიან მაღალი თამასა უჭირავს, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი რეგიონის მასშტაბით; მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს უნივერსიტეტის განვითარებას და სამომავლოდაც აუცილებლად გავაგრძელებთ მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელების მხარდაჭერას, როგორც აკადემიური, ასევე, ინფრასტრუქტურული მიმართულებით“, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ბატონმა გიორგი ამილახვარმა.

მოამზადა დარეჯან კომლაძემ

მუზეუმის ახალი სიცოცხლე



პროფესორი
თინათინ ტყემალაძე, მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
გელა ფარცხალაძე,
„სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმის“ დირექტორი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (შემდგომში – უნივერსიტეტის) ბიოლოგიის და პარაზიტოლოგიის კათედრაზე გასული საუკუნის 1940-იან წლებში, პროფესორ ვალერიან როსტომბეგოვის (1878-1965 წ.წ.) თაოსნობით, დაარსდა „ბიოლოგიური მუზეუმი“, რომელიც ერთადერთი იყო იმ დროს არსებულ სამედიცინო ინსტიტუტებს შორის.

მუზეუმს, თავის დროზე, საექსპოზიციო მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი გადმოეცა ყოფილი „კავკასიის მუზეუმიდან“, რომელიც ფუნქციობდა 1852-1919 წლებში და წარმოადგენდა მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

აღსანიშნავია, რომ უკვე სამედიცინო ინსტიტუტში არსებულ მუზეუმს ძირითადად სასწავლო დატვირთვა ჰქონდა და დაარსების დღიდან აქტიურად ფუნქციობდა თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მაგრამ, 1985 წელს, მეორე სასწავლო კორპუსში გაჩენილი ხანძრის შედეგად, დაზიანდა მუზეუმიც, განადგურდა ექსპონატების დიდი ნაწილი.

1997 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იმდროინდელი სამედიცინო ბიოლოგიის, პარაზიტოლოგიის და ეკოლოგიის კათედრის გამგის, პროფესორ ელენე აბზიანიძის, ინიციატივითა და ძალისხმევით, მოხერხდა გადარჩენილი ექსპონატების აღდგენა და განახლება. 2015 წელს კი, შენობის ავარიული მდგომარეობის გამო, „ბიოლოგიური მუზეუმი“ დროებით დაიხურა.

უმნიშვნელოვანესია, რომ მიმდინარე, 2023 წელს, მოხდა მუზეუმის აღდგენა-რეაბილიტაცია, შეიცვალა მუზეუმის ფორმატი და კონცეფცია, შესაბამისად, შეიცვალა დასახელებაც და მას, „ბიოლოგიური მუზეუმის“ ნაცვლად, ეწოდა თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტთან არსებული – „სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმი“.

აღსანიშნავია, რომ „კავკასიის მუზეუმის“ მასალებიდან გადმოცემულ უნიკალურ ექსპონატთა უმეტესობა საუკუნეს ითვლის; აქ დღემდე ინახება პალეობიოლოგიური, ორნითოლოგიური, მამალოგიური, იქთიოლოგიური და ბოტანიკური ექსპონატები. აქ დაცულ პალეობიოლოგიური ექსპონატებიდან აღსანიშნავია სილურული, კემბრიული და იურიული პერიოდის მოლუსკების, ტროლობიტების, ამონიტებისა და გრაფტოლიტების უნიკალური გაქვავებული მასალები. მუზეუმში, ასევე, წარმოდგენილია ენტომოლოგიური ჰელმინთოლოგიური, მალაკოლოგიური, იქთიოლოგიური, ჰერპეტოლოგიური და ორნითოლოგიური ექსპონატების მდიდარი კოლექციები. მუზეუმში, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი მულაჟების სახით, წარმოდგენილია ანთროპოლოგიური მასალები; ყურადღებას იპყრობს ემბრიოლოგიური ექსპოზიცია — ძუძუმწოვრების ჩანასახოვანი განვითარების ადრეული სტადიების ამსახველი ექსპონატები, ემბრიოლოგიური პათოლოგიების ამსახველი პრეპარატები (ანენცეფალია, ჰიდროცეფალია და სხვა).

კონცეფციის შეცვლიდან გამომდინარე, მუზეუმს დაემატა ინტერაქტიული კუთხე, სადაც მნახველებს, სურვილის შემთხვევაში, კონსულტანტის თანხლებით, შეეძლებათ სხვადასხვა ბიოლოგიური მასალისგან საკუთარი ხელით დნმ-ის გამოყოფა.



ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო სივრცეში გამოჩნდა სამეცნიერო ჟურნალი ***Georgian Biomedical News (GBMN).*** *ვისაც კი შეხება ჰქონდა და გაეცნო ამ გამოცემის სტატიებს, ყველა აღიარებს, რომ მიუხედავად ჟურნალის „ასაკის“ სიმცირისა, ის ძალიან მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და სერიოზული ავტორიტეტი შეიქმნა თავისი არსებობის მანძილზე.* ***Georgian Biomedical News****-ის მთავარი რედაქტორი, თსსუ-ის შინაგან დაავადებათა №1 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი* ***კახაბერ ჭელიძეა.*** *მასთან ერთად ჟურნალს მართავს ავტორიტეტულ რედაქტორთა ჯგუფი, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე საერთაშორისო მეცნიერებისა და მკვლევარების შემადგენლობით.*

ჟურნალის დაარსებიდან დღემდე არცთუ დიდი დროა გასული, მაგრამ რაკი ***Georgian Biomedical News*** *-მა უკვე დაიმკვიდრა თავი საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში და მისდამი ინტერესი მზარდია, თამამად შეიძლება ითქვას, ეს პროექტი წარმატებულია და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალი იმიჯის დამადასტურებელი კიდევ ერთი არგუმენტი.*

ვესაუბრებით ***Georgian Biomedical News*** *-ის მთავარ რედაქტორს, პროფესორ კახაბერ ჭელიძეს:*

– ბატონო კახა, 2023 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მუშაობს სამეცნიერო ჟურნალის – Georgian Biomedical News -ის რედაქცია. ეს არის ჟურნალი, რომელიც ნამდვილად პასუხობს თანამედროვე სამეცნიერო მოთხოვნებს. როგორ შეაფასებთ ამ ჟურნალის მნიშვნელობას?

– სამეცნიერო ჟურნალი იმ დარგში, რომელსაც ვემსახურებით, არის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიღწევა მისი დამფუძნებელი ინსტიტუციისთვის, რაც შეეხება ჩვენს ჟურნალს – Georgian Biomedical News (GBMN) (ქართულად – „ბიოსამედიცინო სიახლეები“), პრეცედენტია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის, რომ საკუთარი მონაწილეობით (საქართველოს რამდენიმე პარტნიორ უმაღლეს სასწავლებელთან ერთად) შეექმნა საფუძველი, რომელზედაც შემდგომ, იმედი მაქვს, „დაშენდება“ მაღალი რეიტინგის მულტიპროფილური ბიო-სამედიცინო ჟურნალი. ასე რომ, ეს არის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის.

ასეთი ჟურნალის დასაარსებლად ყველაფერი მზად იყო – თსსუ-ის დიდი ტრადიციები, სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი, საქართველოს ფარგლებს გარეთ მომუშავე ცნობილ პროფესიონალთა და ექსპერტთა თანადგომა...

მიუხედავად იმისა, რომ ერთი წელიც კი არ გასულა ჟურნალის დაარსებიდან, შემიძლია გითხრათ, რომ „ახალშობილმა“ ჟურნალმა საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი შეიქმნა.

Georgian Biomedical News -ის ავტორიტეტულობის დასტურია პუბლიკაციის ავტორთა და მკითხველთა ფართო გეოგრაფიული არეალი. იმედი მაქვს, საერთაშორისო ავტორთა რიცხვი თანდათან გაიზრდება.

– სამეცნიერო ჟურნალი მიბმულია სამეცნიერო მუშაობაზე, სამეცნიერო კვლევები კი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ ბევრ სირთულეს აწყდება: ფინანსური რესურსების სიმწირე, ზოგჯერ მატერიალური ბაზის არახელმისაწვდომობა, ან განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, – ნაკლებად გამართულობა... მაღალი სანდოობის კვლევებს შეიძლება, ხელს უშლიდეს ყველაფერი ის, რაც ნებისმიერი განვითარებადი ქვეყნის რეალობაში აქტუალური პრობლემაა...

– გეთანხმებით, თანამედროვე კვლევას სჭირდება თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამ მხრივ ჩვენ ვერ შევედრებით განვითარებულ ქვეყნებს, სადაც მსგავსი საფუძველი იქმნებოდა საუკუნეების მანძილზე...

დავიწყოთ იმით, რომ მაღალი სანდოობის კვლევის წარმოებისთვის საჭირო ესენციური მატერიალ-ტექნიკური ბაზა, საქართველში და, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, უკვე არსებობს. ასეც რომ არ იყოს, პროგრესს მხოლოდ სხვისი ნაშრომების კითხვით ვერ მივაღწევთ. პროგრესისთვის საჭიროა ქმედება და მხოლოდ ქმედება.

ქართველ ავტორთა სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ მაღალი სამეცნიერო-კვლევითი ავტორიტეტის უცხოელ კოლაბორანტებთან ერთად შესრულებული მათი ნაშრომები, ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებისთანავე იმსახურებენ საერთაშორისო პროფესიული აუდიტორიის ყურადღებას.

იმედს ვიტოვებ, რომ დროთა განმავლობაში Georgian Biomedical News დამსახურებულ ადგილს დაიკავებს მსოფლიოში ცნობილ ბიოსამედიცინო გამოცემათა შორის.

რაც შეეხება იმ სტატიებს, რომელიც Georgian Biomedical News-ში ქვეყნდება, გარწმუნებთ, აქ მხოლოდ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაშრომები ხვდება, რედაქტირების და ექსპერტიზის მკაცრი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ.

– რამდენად საინტერესოა ქართველი მეცნიერების კვლევები უცხოელთათვის? თუ გაქვთ უკუკავშირი გამოქვეყნებულ სტატიებთან დაკავშირებით?

– ერთნლიანმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ აქ გამოქვეყნებული ზოგიერთი ნაშრომისადმი ინტერესი მსოფლიოში საკმაოდ მაღალია.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ჟურნალი გამოდის როგორც ბეჭდვითი, ასევე, ღია წვდომადობის ელექტრონული სახით. ბოლო პერიოდში, ელექტრონული ჟურნალები თანდათანობით ანაცვლებენ გამოცემების ტრადიციულ ფორმებს, გლობალური გავრცელების შესაძლებლობის გამო. ელექტრონული პლატფორმის და საიდენტიფიკაციო ატრიბუტიკის წყალობით, Georgian Biomedical News -ში გამოქვეყნებული ყოველი ახალი ნაშრომი, მყისიერად მიეწოდება დაინტერესებულ საზოგადოებას, რომელთა რაოდენობა და ინტერესი, თვიდან თვემდე გეომეტრიული პროგრესიით იზრდება.

– Georgian Biomedical News-ის ელექტრონულ ვერსიაში არის ძალიან კომპეტენტური ორგანიზაციების სწრაფი ბმულები. მათ შესახებ რას იტყვით?

– ჟურნალის ელექტრონული პლატფორმის შექმნისთანავე მიზნად დავისახეთ სამედიცინო და ბიოსამედიცინო პუბლიკაციების მაღალი სტანდარტების პოპულარიზაცია და კულტივაცია. თქვენ მიერ აღნიშნული სწრაფი ბმულები გამოიყენება იმ ავტორიტეტული ინსტიტუციების ვებგვერდებზე წვდომისთვის, რომლებიც ქმნიან ზემოთ ნახსენები პუბლიკაციების თანამედროვე გაიდლაინებს.

გარდა აღნიშნული ბმულისა, ჩვენივე ვებ-გვერდზე არის სპეციალური რუბრიკა ავტორებისთვის, სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი ხელნაწერის ხარისხის უზრუნველყოფის და ჟურნალში გამოქვეყნების ალგორითმი.

საჭიროების შემთხვევაში, არსებობს ავტორებთან კავშირის მესამე, პირდაპირი კომუნიკაციის გზაც, რასაც ეფექტურად ახორციელებს რედაქციის ტექნიკური სამსახური.

– თქვენ, როგორც სამეცნიერო ჟურნალის მთავარი რედაქტორი, რას დაასახელებთ ძირითად პრობლემად, რაც ჟურნალის არსებობის მანძილზე გამოიკვეთა?

– გარკვეული სინანულის შეგრძნებით გეტყვით, რომ პუბლიკაციების მაღალი სტანდარტებიდან და რედაქტირების თუ ექსპერტიზის მკაცრი პროცედურებიდან გამომდინარე, გვიწევს სუბმისირებული ხელნაწერების 20-30%-ის დროებითი ან საბოლოო განთესვა, კვლევის დიზაინის, პლაგიატის თუ არაადეკვატური სტატისტიკური მეთოდიკის გამოყენების გამო.

ვფიქრობ, რომ როგორც დიპლომამდელი, ასევე დიპლომისშემდგომი განათლების ეტაპზე, გაცილებით მეტი დრო უნდა დაეთმოს ვალიდური სამეცნიერო კვლევის დაგეგმვის/წარმოების და პუბლიკაციების წერის უნარ-ჩვევების სწავლებას და გამომუშავებას.

ესაუბრა ლელა მუკბანიანი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, არჩილ თალაკვაძის, საჯარო ლექცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

19 ოქტომბერს სტუდენტური ორგანიზაციის – „მომავალი ექიმები საქართველოსთვის“ – ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, არჩილ თალაკვაძე, რომელმაც წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე – „ლიდერები და რეფორმები ჯანდაცვის სფეროში, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა“.

ღონისძიება გახსნა და საზოგადოებას მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა სტუდენტური ორგანიზაციის – „მომავალი ექიმები საქართველოსთვის“ – დამფუძნებელმა, თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა, თორნიკე ფუტკარაძემ.

შეხვედრის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, არჩილ თალაკვაძე დამსწრე საზოგადოებას C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის პრეისტორიის, ასევე, ამ პროგრამის მნიშვნელობისა და მიღწეული შედეგების შესახებ ესაუბრა.

შეხვედრას ესწრებოდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიცე-რექტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე, სტუდენტები, რეზიდენტები, მკვლევარები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, ბატონი არჩილ თალაკვაძის საჯარო ლექციამ აუდიტორიის დიდი ინტერესი გამოიწვია. შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, მაკა ბოჭორიშვილის, საჯარო ლექცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

27 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, სტუდენტური ორგანიზაციის – „მომავალი ექიმები საქართველოსთვის“ – ინიციატივით, სტუმრად ეწვია პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილი, რომელმაც ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველო ევროინტეგრაციის რთულ გზაზე“.

ღონისძიება გახსნა სტუდენტური ორგანიზაციის – „მომავალი ექიმები საქართველოსთვის“ დამფუძნებელმა, თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა თორნიკე ფუტკარაძემ.

ქალბატონმა მაია ბოჭორიშვილმა ისაუბრა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე, ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკასა და საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივაზე, ასევე, მიმდინარე წლის დეკემბერში საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ მოლოდინზე. ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

თსსუ-ის ასოცირებული პროფესორი ავთანდილ კუტუბიძე ამერიკის შეერთებული შტატების პედიატრიული ქირურგიის ასოციაციის წევრი გახდა

თსსუ-ის ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ავთანდილ კუტუბიძე აშშ-ის პედიატრიული ქირურგიის ასოციაციის (APSA) წევრი გახდა.

აშშ-ის პედიატრიული ქირურგიის პროფესიული ორგანიზაცია თავის რიგებში 1200-ზე მეტ წევრს აერთიანებს.

ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს განათლების, სამეცნიერო სიახლეებისა თუ აღმოჩენების და, საჭიროების შემთხვევაში, კვალიფიციური ადვოკატირების მიმართულებებს და, ამ გზით, უზრუნველყოფს როგორც საუკეთესო ქირურგიული დახმარების მიწოდებას პაციენტებისათვის, ისე სამედიცინო მომსახურების მაღალი დონის განვითარებას.

ასოციაცია მიზნად ისახავს დაიცვას ადამიანის ის ფუნდამენტური უფლება, რომელსაც ჯანმრთელობა ჰქვია. „ყველა ბავშვი უნდა იღებდეს უმაღლესი ხარისხის ქირურგიულ დახმარებას“, – აცხადებს ასოციაცია და ყველა ლეგიტიმური შესაძლებლობით ცდილობს, უზრუნველყოს ამ სენტენციის განხორციელება.

ბატონი ავთანდილი თავისი პროფესიული საქმიანობის მანძილზე არაერთი სიახლისა და ინოვაციური მიდგომის ინიციატორი გახლავთ. მისი უშუალო ჩარევითა და მცდელობით ბევრ პატარა პაციენტს მიეცა საშუალება, ჯანმრთელად დაბრუნებოდა ცხოვრებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ულოცავს ბატონ ავთანდილ კუტუბიძეს დიდ აღიარებას და ნაყოფიერ საქმიანობას უსურვებს!

TSMU.EDU

წელსაც, როგორც ყოველთვის, არაერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ აიხდინა ოცნება და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. უნივერსიტეტმა, ტრადიციულად, თბილი დახვედრა მოუწყო მათ: ახალი საწავლო წლის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებაზე ათ ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე პირველსემესტრელს: **ნია შამათავას, ნანუკა ქოჩიაშვილს, კონსტანტინე ბარბაქაძეს, მარიამ ჭყონიას, ქეთი კიკოლაშვილს, არჩილ ბენაშვილს, თამარ ფხალაძეს, ანი ივანიძეს, გიორგი ბერძენიშვილს, ქეთევან მამუკაშვილს** თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, **ლადო გაბეჩავამ**, სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. საინტერესო იყო საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ ყველაზე მაღალრეიტინგული პირველსემესტრელის, ნია შამათავას, შესახებ მომზადებული ვიდეორგოლი. თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**, მას განსაკუთრებული საჩუქარი – პერსონალური კომპიუტერი – გადასცა.

ჩვენ ვცადეთ მაღალრეიტინგულ პირველსემესტრელთაგან რამდენიმეს გავსაუბრებოდით და უშუალოდ მათგან მოგვესმინა მოსაზრებები, სურვილები თუ შეხედულებები არჩეულ პროფესიაზე, სტუდენტობაზე, მომავლის გეგმებზე...

ყველაზე მაღალრეიტინგული პირველსემესტრელი ნია შამათავაა.

– უპირველესად, გილოცავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ამ დიდი ტრადიციების მქონე, პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობას... ყველაზე მაღალრეიტინგული პირველსემესტრელის სტატუსი, ალბათ, დიდ პასუხისმგებლობასაც გაკისრებთ, თუმცა შედეგით კმაყოფილი უნდა იყოთ...

– ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღწეული შედეგით, ცხადია, კმაყოფილი ვარ, მით უფრო, რომ ავიხდინე ოცნება და თსსუ-ის სტუდენტი გავხდი. სასიამოვნო იყო დიდი ინტერესი და ყურადღება მედიისა და საზოგადოების მხრიდან; ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა კარგად მიმიღო და დააფასა ჩემი წარმატება... გახარებული ვარ და ვთვლი, რომ ასეთი შედეგისთვის შრომა ღირდა.

– რამ განაპირობა თქვენი პროფესიული არჩევანი?

– ჩემი პროფესიული არჩევანი, ვფიქრობ, ლოგიკურია, რადგან მამა ექიმია, და – მომავალი ექიმი, დედა, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელია, ექიმობას ძალიან საინტერესო პროფესიად მიიჩნევს... გულწრფელად რომ გითხრათ, თავად არასოდეს მიფიქრია ერთ რომელიმე პროფესიაზე, რადგან მრავალმხრივი ინტერესი მქონდა, თუმცა ყოველთვის მიმაჩნდა, რომ საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გამომეყენებინა. ამიტომაც, საბოლოოდ, ეს ძალიან რთული პროფესია ავირჩიე და მინდა გავამართლო ის იმედები, რასაც ჩემზე ამყარებენ.

– რატომ აირჩიეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი?

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, დიდი ისტორიის და ტრადიციების, მაღალი დონის უნივერსიტეტია, სადაც საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლების დახმარებით მაღალი ხარისხის სამედიცინო განათლების მიღების შესაძლებლობა გვეძლევა. აქ აღიზარდა არაერთი სახელოვანი ექიმი, რომლებიც დღეს არა მხოლოდ საქართველოში, უცხოეთშიც წარმატებით საქმიანობენ.

– გარდა მედიცინისა, რით ინტერესდებით?

– ბევრი რამით ვინტერესდები: მიყვარს ხატვა, კითხვა, წერა – შემოქმედებითი ადამიანი ვარ; ვფიქრობ, სულსაც სჭირდება საკვები, რომ ისაზრდოოს. განმარტოება და საკუთარ თავთან მარტო დარჩენა, ფიქრი მიყვარს; ასევე, ე. წ. thought provoking ფილმების ყურება, მიზნის დასახვა და მიღწევა... წიგნის დაწერა მინდა, ლექსებსაც ვწერ, თუმცა ჯერ არ გამომიქვეყნებია. ვარჯიში და სპორტი ჩემთვის უცხო არაა, განსაკუთრებით მომწონს ველოსიპედით სეირნობა, ასევე, მაგიდის ჩოგბურთი, სირბილი... ზაფხულის ბოლოს მოვინდომე და 13,5 კილომეტრი გავირბინე.

– როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე...

– ცხადია, ჩემი დღის რეჟიმი თსსუ-ში სწავლასთან ერთად შეიცვლება და, დიდწილად, სწორედ უნივერსიტეტზე იქნება დამოკიდებული. დიდი ალბათობით, საკმაოდ დატვირთული დღე მექნება; ვფიქრობ, ადრე გაღვიძება და სწავლისთვის მნიშვნელოვანი დროის დათმობა ჩვეულებრივ რუტინად მექცევა, თუმცა, იმედს ვიტოვებ, თავისუფალი დროც დამრჩება, რომელსაც სიამოვნებით დავუთმობ სულიერ განვითარებას.

– უკვე გადაწყვეტილი გაქვთ, რა გზით წახვალთ მედიცინაში?

– არა, რადგან ყველაფერი ახლა იწყება... როგორც აღვნიშნე, ბევრი რამ მაინტერესებს, თუმცა, ცხადია, ყველაფერს ვერ „გავწვდები“ და გადაწყვეტილებაც ალბათ თანდათან, სწავლის პროცესში მოვა, როცა მეტი დაფიქრების და გააზრების შესაძლებლობა მომეცემა...

– რაზე ოცნებობთ და როგორ წარმოგიდგენიათ თავი წლების შემდეგ – პროფესიულ საქმიანობაში და, ზოგადად, ცხოვრებაში?

– მომავალში მიჭირს საკუთარი თავის წარმოდგენა, რადგან მომავალი ჩემთვის მანამ ბუნდოვანია, სანამ გადაწყვეტილების მიღების დრო არ მოვა. ის კი ვიცი, რომ მაქსიმალურად ვეცდები, ცხოვრება საინტერესოდ წარვმართო, ვიყო საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია და წარმატებული იმ სფეროში, რომელსაც ავირჩევ.

– მართალია, ჯერ მხოლოდ ეცნობით უნივერსიტეტს, მაგრამ მაინც: როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება, რამდენად ამართლებს თუ ემთხვევა რეალობა თქვენს წარმოდგენას სასურველი უნივერსიტეტის შესახებ; ასევე, საინტერესოა თქვენი სურვილები თსსუ-ში სტუდენტობასთან დაკავშირებით...

– თსსუ-ის სტუდენტი სულ ახლახან გავხდი, თუმცა უკვე ძალიან მომწონს აქ; სასიამოვნოა იმის ცოდნა, რომ მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული ლექტორები გვიკითხავენ ლექციებს, გარემო თბილი, კომფორტული და მეგობრულია. მომავალში მინდა მონაწილეობა მივიღო გაცვლით პროგრამებში და სწავლა საზღვარგარეთ გავაგრძელო. ვფიქრობ, ეს დიდი გამოცდილებაა ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის. ასე რომ, იმედი მაქვს, უნივერსიტეტი, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, ამის შესაძლებლობასაც მომცემს.

– ხომ არ არის შეკითხვა, რომელიც ვერ დაგისვით და სიამოვნებით უპასუხებდით?

– მგონი ყველაფერზე ამომწურავად ვისაუბრეთ... სიამოვნებით დავამატებდი მადლიერების გამომხატველ სიტყვებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისადმი: მადლობა ასეთი თბილი დახვედრისათვის!.. დარწმუნებული ვარ, უნივერსიტეტში სწავლის წლები საინტერესო და ულამაზესი პერიოდი იქნება ჩემს ცხოვრებაში. წარმატებულ სასწავლო წელს ვუსურვებ პირველსემესტრელებს, მე კი მაქსიმალურ ძალისხმევას, დროს და ენერგიას მოვახმარ პროფესიულ განვითარებას, რადგან მჯერა, საუკეთესო პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის ბევრი შრომაა საჭირო, რომელიც აუცილებლად შედეგიანი იქნება.

ათ მაღალრეიტინგულ პირველსემესტრელს შორის ერთ-ერთია **კონსტანტინე ბარბაქაძე,** რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ასეთი შედეგი მისთვის მოულოდნელი არა, მაგრამ სასიამოვნო და სასიხარულო იყო. კარგად იხსენებს ბავშვობას, სკოლის პერიოდს. მიუხედავად იმისა, რომ საბუნებისმეტყველო საგნებით დაინტერესებული იყო, ექიმობის სურვილი მოგვიანებით მოვიდა, რასაც ბიძას უმადლის, რომელიც პროფესიით ექიმია და დიდი გავლენა მოახდინა კოტეს პროფესიულ არჩევანსა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კოტე ბარბაქაძისთვის ყველაზე სასურველი უმაღლესი სასწავლებელი იყო და ბევრი იშრომა მიზნის მისაღწევად, რომ სწორედ ამ უნივერსიტეტის სტუდენტი გამხდარიყო; აღსანიშნავია, რომ, მედიცინასთან ერთად, მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა სპორტი – კრივით დაინტერესებული ახალგაზრდა დიდ დროს უთმობს ვარჯიშს: „შეიძლება ითქვას, რომ მედიცინა და სპორტი ჩემთვის განუყოფელია. სწავლასთან, მედიცინის საფუძვლების ათვისებასთან ერთად, მინდა სპორტითაც დავკავდე და აქაც წარმატებული ვიყო“, – აღნიშნავს კოტე. კრივის სიყვარულითაა ნაკარნახევი მომავალ პროფესიაზე, ნევროლოგობაზე, ფიქრიც: „მოგეხსენებათ, კრივში შეჯიბრს ხშირად ახლავს მძიმე ტრავმები, ცერებრალური სისხლჩაქცევები, თავის ტვინის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება... ამის გათვალისწინებით, დღესდღეობით, ნევროლოგია ჩემთვის ყველაზე საინტერესო დარგია, თუმცა, შესაძლოა, მომავალში სულ სხვა ინტერესი მქონდეს და არჩევანიც სხვაგვარი გავაკეთო“...

კოტეს უჭირს დაასახელოს მისაბაძი პროფესიონალი მედიცინასა და სპორტში, უფრო ზუსტად – არ უყვარს ავტორიტეტები, მიაჩნია, რომ ყველას თავისი გზა და ხელწერა უნდა ჰქონდეს – ინდივიდუალური, ყველასგან განსხვავებული...

მართალია, თსსუ-ში სულ ახლახან ჩაირიცხა, მაგრამ უკვე ძალიან მოსწონს გარემო, ლექტორები, ახალი მეგობრები... დარწმუნებულია, რომ სტუდენტობის წლები ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი იქნება..

დიდი სურვილი აქვს მომავალში, გაცვლითი პროგრამით, უცხოეთში გაემგზავროს ცოდნის გასაღრმავებლად; მიიჩნევს, რომ ნებისმიერი პროფესიის ადამიანმა მეტი უნდა ნახოს, ისწავლოს, შეიმეცნოს, მით უფრო მოეთხოვება ეს ექიმს, რომლის პირდაპირი მოვალეობა ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვაა...

ანი ივანიძემაც მარტივად დაძლია საგამოცდო ბარიერი და მაღალი ქულებით ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტზე. ეს არც გაკვირვებია, თუმცა ყველაზე მაღალრეიტინგული პირველსემესტრელების ათეულში მოხვედრა მისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო.

ანი მედიცინით ჯერ კიდევ ბავშვობაში დაინტერესდა, მშობლებმაც დიდი როლი ითამაშეს პროფესიის არჩევისას საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში.

რატომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი? – დიდხანს ფიქრი არ დასჭირვებია, რადგან თვლის, რომ თსსუ ის უმაღლესი სასწავლებელია, სადაც შეძლებს საუკეთესო სამედიცინო განათლების მიღებას და სრულყოფილად დაეუფლება პროფესიისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს; კარგად იცის, რომ სტომატოლოგის პროფესია, პრესტიჟულობასთან ერთად, საინტერესო და საკმაოდ რთული პროფესიაა, რომ კვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბებისთვის ბევრი შრომა დასჭირდება, თუმცა, იმედი აქვს, რომ, წლების შემდეგ, საუკეთესო პროფესიონალი გახდება, მანამ კი, ამ მიზნის მისაღწევად, თავდაუზოგავად იშრომებს.

მართალია, ანის ცხოვრებაში ახალი ეტაპი სულ ახლახან დაიწყო, მაგრამ უკვე ძალიან მოსწონს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა და აღნიშნავს: „მიუხედავად იმ სირთულეებისა, რაც სტუდენტურ ცხოვრებას ახლავს, აქ შექმნილი მეგობრული გარემო ძალიან მეხმარება სირთულეების გადალახვასა და ადაპტაციაში“.

ანის სურვილია უნივერსიტეტში სწავლის წლები მრავალფეროვანი და აქტივობებით დატვირთული იყოს, რაც სტუდენტურ ცხოვრებას კიდევ უფრო საინტერესოს გახდის. როგორც არაერთი მისი თანატოლი, მიიჩნევს, რომ უცხოეთში სწავლა თუ სტაჟირება, საჭირო და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მომავალი პროფესიული განვითარებისთვის.

იგი სიამოვნებით საუბრობს მედიცინისმიღმა ინტერესებზე, მხატვრული ლიტერატურისადმი განსაკუთრებულ სიყვარულზე, ოჯახზე, მეგობრებზე; მიიჩნევს, რომ თავისუფალი დროის საინტერესოდ გატარებაც აუცილებელი და მნიშვნელოვანია ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის, თუმცა, უპირველეს ამოცანად, დღესდღეობით, მაღალი ხარისხის სამედიცინო განათლების მიღება რჩება, რაც, დარწმუნებულია, მომავალში მისი წარმატებული პროფესიული საქმიანობის საწინდარი იქნება.

გვერდი მოამზადა ნატო ბოლქვაძემ

ღიად დარჩენილი ჭრილობა

1993 წლის 27 სექტემბერი ტრაგიკული დღეა საქართველოს უახლეს ისტორიაში – 13 თვისა და 13 დღის ბრძოლის შემდეგ, საქართველოს ხელოვნურად მოწყვიტეს ერთ-ერთი ულამაზესი მხარე, ზურმუხტისფერი აფხაზეთი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში, ამ უთანასწორო ომში გმირულად დაღუპული ბიჭების მემორიალთან, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები და სტუდენტები შეიკრიბნენ, რათა პატივი მიეგოთ აფხაზეთში დაღუპული თსსუ-ის სტუდენტების: **გიორგი მიროტაძის, ნიკოლოზ ღიბრაძის, ვასილ კილაძის, რევაზ მუმლაძის, ილია მელაძის** ხსოვნისთვის.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, რომელმაც საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას სიტყვები გაიხსენა: „ვიბრძოლებთ მანამ, სანამ შეგვიძლია და თუ სიკვდილი დადგება, არც ესაა დიდი ტრაგედია; აქ ისეთი ბიჭები იხოცებიან, რომ ძნელია სიცოცხლეზე იფიქრო," – ეს სიტყვები ჟიული შარტავამ 1993 წლის 27 სექტემბრამდე რამდენიმე დღით ადრე თქვა...

რუსეთის იმპერიულ ინტერესებს, ჟიული შარტავასთან ერთად, არაერთი გმირი შეეწირა. საქართველოს წარმოდგენა აფხაზეთის გარეშე შეუძლებელია, თუმცა, საჭიროა ისტორიულ ჭრილობასთან ძალიან ფრთხილი შეხება და გამოსავლის ძიება... და რაც მთავარია, სიყვარული! ჩვენი საერთო ტკივილი ამ ობელისკზეა ასახული; სამედიცინო საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი მონაწილეობდა ამ ომში, მაგრამ ეს ხუთი ახალგაზრდა: გიორგი მიროტაძე, ნიკოლოზ ღიბრაძე, ვასილ კილაძე, რევაზ მუმლაძე, ილია მელაძე, რომლებმაც სტუდენტობის დროს თეთრი ხალათი გაიხადეს და სამშობლოს დასაცავად წავიდნენ, გმირებად იქცნენ. მაშინ ვერავინ აცნობიერებდა, რომ ეს რუსეთის მიერ მზაკვრულად დაგეგმილი ოკუპაცია იყო; გიორგი მიროტაძე, ცნობილი აფხაზი ექიმის, უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, სოკრატ არშბას, შთამომავალი, რომლის ძარღვებში ქართველის და აფხაზის სისხლი ჩქეფდა, ქართველების და აფხაზების შესარიგებლად, დაჭრილების საპატრონოდ წავიდა ომში, თუმცა, ისე როგორც ეს ბიჭები, ამ ომს შეეწირა.

სამწუხაროდ, დღევანდელ ახალგაზრდობას არ უნახავს აფხაზეთი, საქართველოს ულამაზესი მხარე, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საქართველოს მომავალი, მაგრამ ცოცხლობს იმედი, რომ საქართველო გამთლიანდება. ამ ბიჭების ოცნება ასრულდება და ერთიან, ძლიერ საქართველოში ვიცხოვრებთ".

დაღუპული ბიჭების მშობლებმა – ლევან მიროტაძემ და ავთანდილ ღიბრაძემ – მადლობა გადაუხადეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ყოველწლიურად სამშობლოს შეწირული ბიჭების ხსოვნის პატივის მიგებისთვის და აღნიშნეს, რომ სამშობლოს სიყვარული და მისი დაცვა ადამიანის უპირველესი მოვალეობაა.

აფხაზეთის ომში დაღუპული სტუდენტები გაიხსენა თსსუ-ის კურსდამთავრებულმა, აფხაზეთის ომის მონაწილემ, მწერალმა ზურაბ ლეშკაშელმა, რომელიც ყოველწლიურად თსსუ-ში, დაღუპული სტუდენტების ობელისკთან მიაგებს პატივს აფხაზეთის ომის ყველა მსხვერპლს. მან აღნიშნა: „27 სექტემბერი ხსოვნის დღეა, რომელიც თსსუ-ში ყოველწლიურად აღინიშნება, რაც თსსუ-ის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას და მისი გუნდის დამსახურებაა. მადლობა თქვენ, ვფიქრობ ესაა თქვენი ბრძოლა საქართველოსთვის, რათა მომავალმა თაობამ არ დაკარგოს ისტორიის ამ ტრაგიკული ფურცლების ხსოვნა და სათანადოდ დააფასოს თავისი გმირების თავდადება".

სულისშემძვრელია ერთი ფრაზა ზურაბ ლეშკაშელის წიგნიდან, რომელიც მან გიორგი მიროტაძის ხსოვნას მიუძღვნა: როცა გიორგის გარდაცვალების შემდეგ, მისი იარაღი გასაწმენდად დაშალეს, ნახეს, რომ არცერთი ტყვია არ იყო გასროლილი. სიყვარულით, რომელიც ამ ბიჭებს ჰქონდათ სამშობლოსადმი, საზრდოობდა ჰუმანიზმი და ერთიანი სამშობლოს მსახურების ვალდებულება. სწორედ ამან უნდა გადაარჩინოს საქართველოს ერთიანობის განცდა ყველა ჩვენგანის გულებში, ამას ემყარება მომავლის რწმენაც.

ღონისძიების დასასრულს თსსუ-ის სტუდენტებმა ყვავილებით შეამკეს გმირთა მემორიალი.

მანანა ფხალაძე

15 წელი 2008 წლის ომიდან

საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელია 2008 წლის აგვისტოს ომი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველთვის დიდი პატივისცემით იხსენებს ქართველ გმირებს, რომლებმაც სიცოცხლე მიიტანეს სამსხვერპლოზე სამშობლოს დასაცავად.

აგვისტოში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა, სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს და მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე ყვავილებით შეამკეს მათი საფლავები.

რუსეთ-საქართველოს ომიდან 15 წელი გავიდა. 2008 წლის აგვისტოს ომში დაიღუპა 200-ზე მეტი სამოქალაქო პირი, საქართველოს შეიარაღებული ძალების 170 სამხედრო მოსამსახურე და შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი.

2008 წლის აგვისტოს ომმა კიდევ ერთხელ გახადა ნათელი, რომ საქართველოს გულმხურვალე შვილები ჰყავს, რომელთა თავგანწირვა და სამშობლოსადმი ერთგულება სამაგალითოა ყველა ქართველისთვის.

ამ ომმა საქართველოს ისტორია გაამდიდრა გმირების სახელებით, რომელთა ხსენება ყოველთვის დიდი პატივია ნებისმიერი ქართველისთვის.

ეს იყო უთანასწორო ბრძოლა, რომელიც გიორგი ანწუხელიძის, შინდისელი გმირების, გოგა აბრამიშვილის, თუ სხვა ომში დაღუპული ბიჭების თავგანწირვის მაგალითით შეგვიძლია გავაცნოთ მომავალ თაობას...

შეხვედრა თვითმმართველობის გუნდთან

5 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის გუნდი სტუდენტთა წინაშე წარდგა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს თვითმმართველობის პრეზიდენტმა ლადო გაბეჩავამ და ვიცე-პრეზიდენტებმა: დაჩი ლაკვეხელიანმა, მარიამ მერაბიშვილმა, ციცი პაპუნაშვილმა და აშიკა გაინსმა, რომლებმაც დეტალურად ისაუბრეს სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურაზე, მიზნებსა და ამოცანებზე.

პრეზიდენტის თქმით, სტუდენტებს წელსაც არაერთ საგანმანათლებლო, სპორტულ თუ კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობის საშუალება ექნებათ, რაც მათ დაეხმარება როგორც პიროვნულ, ისე კარიერულ ზრდაში.

სტუდენტების წინაშე, ასევე, წარდგნენ ფაკულტეტის ხელმძღვანელები: შალვა მღებრიშვილი (მედიცინის ფაკულტეტი), ირინა პაპავა (სტომატოლოგიის ფაკულტეტი), დეა მრელაშვილი (საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი), ლიზი თომაძე (ფარმაციის ფაკულტეტი), მანანა საური-ბერია (ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი), რომელთა სიტყვებს ემოციების გარეშე არ ჩაუვლია.

აღსანიშნავია, რომ პრეზენტაციისას განიხილეს არაერთი ახალი პროექტი, რომელიც აქამდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში არ განხორციელებულა. აღინიშნა ისიც, რომ გუნდი მოლაპარაკებებს აწარმოებს ადგილობრივ/საერთაშორისო კომპანიებსა თუ ორგანიზაციებთან, რომლებთან შეთანხმების საფუძველზეც, თსსუ-ის სტუდენტები სხვადასხვა სერვისით ისარგებლებენ.

პრეზენტაციამ სტუდენტების დიდი ინტერესი გამოიწვია და, შესაბამისად, სტუდენტურ თვითმმართველობაში გაწევრიანების მსურველთა რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა.

ახალი პარტნიორობა

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის, ქართული სპორტის მხარდამჭერთა ასოციაციის და ქართული სპორტის ქომაგების პარტნიორობის ფარგლებში, თსსუ-ის სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩებს დასწრებოდნენ. სტუდენტებმა ქომაგების რიგებიდან ჩვენს ნაკრებს ტაილანდსა და კვიპროსის ნაკრებებთან უგულშემატკივრეს.

აქტივობაში ჩაერთო 300-ზე მეტი სტუდენტი.

Food Med Fest

16 ოქტომბერს, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით, ჩატარდა Food Med Fest. ფესტივალი ფაკულტეტთაშორის შეჯიბრს მოიაზრებდა, სადაც, 5 ეტაპად მიმდინარე თამაშში, ერთმანეთს ეჯიბრებოდა მონაწილე ყველა ფაკულტეტიდან. სტუდენტებმა სახალისო დავალებებს წარმატებით გაართვეს თავი. გამოვლინდა გამარჯვებული – მედიცინის ფაკულტეტი, რომელმაც ამ ფესტივალის არსებობის ისტორიაში პირველი ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა. გარდა უშუალო მონაწილეებისა, ყველა ფაკულტეტს ენერგიული გულშემატკივარი ჰყავდა, რამაც ხალისი და მხიარულება შემატა ფესტივალს.

ღონისძიება New Adam's Pizza-ს სპონსორობით ჩატარდა. აღნიშნულმა კვების ობიექტმა გამარჯვებულ სტუდენტებს სასაჩუქრე ვაუჩერები გადასცა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას.

გოს ჩემპიონატი

11 ოქტომბერს, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტისა და საქართველოს გო-ს ფედერაციის ორგანიზებით, თსსუ- ში პირველად გაიმართა გოს ჩემპიონატი.

ტურნირამდე ფედერაციის წარმომადგენელმა დაინტერესებული სტუდენტებისთვის მასტერკლასი ჩაატარა. გოს მრავალფეროვნების წყალობით, თამაშში მონაწილე სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდა მისთვის საინტერესო, მრავალფეროვანი მიმართულებით დაინტერესებულიყო: – აზროვნება, ორთაბრძოლა, სპორტი, აღმოსავლური კულტურა, ფილოსოფია, თვითშემეცნება და თვითგანვითარება, კომუნიკაცია, სასიამოვნო ჰობი და მრავალი სხვა.

მასტერკლასის შემდეგ სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ჩემპიონატში, რომელმაც გამარჯვებულებიც გამოავლინა: საბა არაბიძე (I ადგილი), მარია ლუაშვილი (II ადგილი), ლუკა კუჭუხიძე (III ადგილი).

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა მადლობას უხდის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ დავით როსტომაშვილს გამოცდილების გაზიარებისთვის.

ჩემპიონატები ჭადრაკში, ნარდსა და შაშში



3-4 ოქტომბერს, სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით, ჩატარდა ტურნირები ჭადრაკში, ნარდსა და შაშში. ტურნირებს საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა სტუდენტების მხრიდან.

გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

ჭადრაკში: საბა არაბიძე (I ადგილი), ცოტნე მამულაიშვილი (II ადგილი), სალომე ხუცურაული (III ადგილი).

ნადრში საპრიზო ადგილები ვაჟებში შემდეგნაირად გადანაწილდა: დავით ფარცახაშვილი (I ადგილი), ხვიჩა გვარამია (II ადგილი), დათი ნინუა (III ადგილი).

გოგონებში: ანა ბუთხუზი (I ადგილი), ანი მაისურაძე (II ადგილი),ნინო ჩილინგარაშვილი (III ადგილი).

შაშში: ალექსანდრე ჩიქოვანი (I ადგილი), ალექსი შურღაია (II ადგილი), მამუკა სიდამონიძე (III ადგილი).

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, სტუდენტები აქტიურად ჩაერთნენ სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ სპორტულ აქტივობებში.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტებს აქტიური ჩართულობისთვის მადლობას უხდის და წარმატებებს უსურვებს.

კინომანია

6 ოქტომბერს, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით, გაიმართა შემეცნებითი და გასართობი აქტივობა – „კინომანია". პროექტის ფარგლებში მონაწილეობა გულმხურვალე კინომანებმა მიიღეს, რომლებიც 7 ეტაპიან სახალისო აქტივობებში ჩაერთნენ.

შეჯიბრი მიმდინარეობდა ეტაპობრივად. სირთულეების დაძლევით მონაწილეებმა შეძლეს სასურველი ქულების დაგროვება და გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ: პირველ-მეორე ადგილზე გავიდნენ ლევან აბულაძე, შამილ შავგულიძე, საბა გურგენიძე, მარიამ წიკლაური; მესამე ადგილი აკაკი კვიციანმა და ლუკა შუბითიძემ მოიპოვეს.

გამარჯვებულებს სტუდენტურმა თვითმმართველობამ მათთვის სასურველი კინოს ბილეთები და ბრენდირებული ნივთები გადასცა საჩუქრად. დასაჩუქრდნენ, ასევე, აქტიური გულშემატკივრები.

Welcome Party

14 ოქტომბერს, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, გაიმართა სტუდენტებისთვის სახალისო და მოთხოვნადი ღონისძიება – Welcome Party. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს Spacehall-მა უმასპინძლა. სტუდენტების ამაღლებულ განწყობაზე საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე არტისტებმა იზრუნეს; დაუვიწყარი დღის შთაბეჭდილება დიდხანს გაჰყვება თითოეულ მათგანს.

გვერდი მოამზადა მედიცინის ფაკულტეტის მე-7 სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტმა, ციცი პაპუნაშვილმა

ხსოვნა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის სახელით მინდა დიდი გულისტკივილი გამოვხატო დეპარტამენტის ღვაწლმოსილი თანამშრომლის, უფროსი ლაბორანტის, მოწვეული მასწავლებლის, **მანანა კუდუხოვას,** გარდაცვალების გამო.

ქალბატონი მანანა კუდუხოვა თსსუ-ის სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტში, დაახლოებით, 45 წელია ეწეოდა აკადემიურ საქმიანობას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მომავალი თაობის პროფესიონალად ჩამოყალიბების საპასუხისმგებლო საქმეში.

მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი წლები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან იყო დაკავშირებული და ამას ყოველთვის დიდი სიყვარულით აღნიშნავდა.

ქალბატონი მანანა გახლდათ უაღრესად ყურადღებიანი, კომუნიკაბელური პიროვნება. სამაგალითო იყო მისი თბილი, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გარშემომყოფებისადმი. სწორედ ასეთად დაამახსოვრდებათ იგი კოლეგებს, კურსდამთავრებულებს, სტუდენტებს, რომელთათვისაც მისი უდროოდ წასვლა ამქვეყნიდან უთუოდ მნიშვნელოვანი დანაკლისია.

ვუსამძიმრებთ ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს; ქალბატონი მანანა მრავალი წელი ემსახურა საყვარელ საქმეს და უნივერსიტეტს და მისი ხსოვნა არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

ლუიზა გაგუნია,
თსსუ-ის სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

წარმატება საერთაშორისო ფესტივალზე

თსსუ-ის კულტურის ცენტრთან არსებულმა სიმღერის და ცეკვის სახალხო, დამსახურებულმა ანსამბლმა არაერთხელ ასახელა მშობლიური უნივერსიტეტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნის მდიდარი ფოლკლორული მემკვიდრეობის წარდგენით პუბლიკის დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ ზაფხულს საგასტროლო ტურნე, სამხრეთ საფრანგეთში, იუნესკოს ეგიდით გამართულ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობას ითვალისწინებდა, სადაც ანსამბლი ივლისის ბოლოს გაემგზავრა. ანსამბლის რეპერტუარმა, ცეცხლოვანმა ქართულმა ცეკვებმა და უნიკალურმა მრავალხმიანმა ფოლკლორმა აღაფრთოვანა არა მარტო ფრანგი, არამედ სხვადასხვა ქვეყნის მსმენელი თუ მაყურებელი ხორვატიიდან, პორტუგალიიდან, ლათინური ამერიკიდან, აფრიკიდან, ინდონეზიიდან... და ანსამბლს ყველაზე საპატიო – ფესტივალის დახურვის – პატივი ხვდა წილად... მანამდე იყო საბერძნეთის ლაჟვარდოვანი სანაპირო, იტალიის ღირსშესანიშნაობები, ვენეციაში, სან-მარკოს მოედანზე, არაჩვეულებრივი ორკესტრის მიერ ანსამბლის ხელმძღვანელის პატივსაცემად შესრულებული „თბილისო“ და კიდევ ბევრი საინტერესო ამბავი, ანსამბლის წევრებისთვის უკვე ყველაზე დასამახსოვრებელ შთაბეჭდილებად რომ იქცა...

პანდემიისშემდგომ მონატრებული საგასტროლო ტურნეს რეალობად ქცევა და ანსამბლის წარმატება, როგორც ყოველთვის, კულტურის ცენტრის დირექტორის, სიმღერის და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლის ხელმძღვანელის, ბატონი **ბადრი მაჭავარიანის**, ძალისხმევის შედეგია, რომელსაც საფრანგეთში გამართული ფესტივალის შესახებ გავესაუბრეთ:

– ბატონო ბადრი, როგორც ვიცით, საფრანგეთში წარმატებული საგასტროლო ტურნე პირველი არ იყო ანსამბლისთვის. როგორია თქვენი ამჟამინდელი შთაბეჭდილება?

– ასეა, თუმცა, პირველად ვიმყოფებოდით სამხრეთ საფრანგეთში, სადაც, ტულუზასთან ახლოს, პატარა ქალაქი სენ-ჟირონი (Saint-Girons) საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს მასპინძლობდა.

მოგეხსენებათ, უკვე მრავალი წელია ვთანამშრომლობთ იუნესკოს ეგიდით გამართული ფესტივალების ორგანიზატორებთან სხვადასხვა ქვეყანაში, გვყავს იმპრესარიო, რომელიც ხშირად გვთავაზობს ევროპის თუ მსოფლიოს მასშტაბით გამართულ ფესტივალებში მონაწილეობას. ამჯერად, იუნესკოს ოფიციალური მოწვევით, საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად გავემგზავრეთ საფრანგეთში, სადაც ყველა კონტინენტიდან სხვადასხვა ქვეყანა იყო წარმოდგენილი. ყურადღებას იქცევდა არა მარტო ევროპის ქვეყნების, არამედ ლათინური ამერიკის, აფრიკის და ინდონეზიის ხალხთა ფოლკლორული შემოქმედება. მასპინძელი ქვეყნის, საფრანგეთის, რამდენიმე ანსამბლი მონაწილეობდა ფესტივალში. ამდენად, სერიოზული და ანგარიშგასაწევი კონკურენტები გვყავდა, თუმცა ეს არ იყო კონკურსი ტრადიციული გაგებით, რომელსაც უნდა ჰყოლოდა გამარჯვებული, მაგრამ შიდა „შეჯიბრი“ და ჯანსაღი კონკურენცია მაინც იგრძნობოდა, რადგან ყველას უნდოდა ფესტივალის დახურვის პატივი რგებოდა...

– კონკურსგარეშე ფესტივალზე რთული იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება...

– ცხადია, თუმცა, მსგავს ფესტივალებზე, ქალაქის მერსა და ფესტივალის ორგანიზატორებთან ერთად, ყველა ქვეყნის ანსამბლის კონცერტების შემფასებელი თვითონ მაყურებელია. როცა ორგანიზატორებმა ნახეს აღტაცებული მაყურებლის რეაქცია და ოვაციები ჩვენი გამოსვლების შემდეგ, უყოყმანოდ მიიღეს გადაწყვეტილება, სწორედ ჩვენს ანსამბლს დაეხურა ფესტივალი. ძალიან ემოციური იყო ფესტივალის დახურვის დღე, როცა ანსამბლის გამოსვლისას სცენაზე შემოაბრძანეს ქართული დროშა და არ წყდებოდა პუბლიკის ოვაციები. ეს იყო კიდევ ერთი წარმატება და აღიარება საერთაშორისო ასპარეზზე...

– რეპერტუარი, ტრადიციულად, საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორს მოიცავდა თუ, ამჯერად, მხოლოდ რამდენიმე საკონცერტო ნომერი იყო წარმოდგენილი?

– ფესტივალზე ქართულ მრავალხმიან ფოლკლორულ შედევრებთან, პოპულარულ ქართულ ხალხურ ცეკვებთან, ხალხურ საკრავებზე შესრულებულ სხვადასხვა მუსიკალურ ნომერთან ერთად საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები და ცეკვები შესრულდა, მათ შორის, – აფხაზური სიმღერა და ოსური ცეკვა, შესაბამისად, ფესტივალში მონაწილეობა, გარკვეულწილად, პოლიტიკურ ჭრილშიც აქტუალური იყო.

– რამდენადაც გვახსოვს, ყოველი საგასტროლო ტურნეს დროს ახერხებთ სტუდენტებს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობები გააცნოთ და, ამ გზით, შესაძლებლობის ფარგლებში, სხვა ქვეყნების კულტურასაც აზიაროთ...

– დიახ, ყოველთვის ვცდილობ უცხოეთში გასტროლების დროს ერთგვარი შემეცნებითი პროგრამაც შევთავაზო სტუდენტებს. გარდა ამისა, ამჯერად მათ თურქეთის გავლით საბერძნეთში, ეგეოსის და ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, ერთდღიანი დასვენების შესაძლებლობა ჰქონდათ; საბერძნეთიდან ქალაქ ბარში პირდაპირი რეისით, გემით, ადვილია მოხვედრა, როგორც ყოველთვის, ახლაც არ გავუშვით ეს შანსი და ბარში წმინდა ნიკოლოზის ტაძარი მოვილოცეთ – შთამბეჭდავი და ემოციური იყო მომღერალთა გუნდის მიერ ტაძარში შესრულებული ქართული საგალობლები; აქედან რომში გავემგზავრეთ, სადაც ქალაქის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერეს სტუდენტებმა.

ჩვენი ანსამბლი უკვე 23-ედ იმყოფებოდა იტალიის დედაქალაქში, იტალიაში კი სულ 17 საგასტროლო ტურნე გვქონდა, თუმცა ახალი თაობისთვის ეს პირველი გასვლა იყო ევროპაში; შემდეგ იყო ვენეცია და ცნობილი სან-მარკოს მოედანი, სადაც ბრწყინვალე ორკესტრი მთელი დღის განმავლობაში ასრულებს ულამაზეს მელოდიებს ქალაქის სტუმრებისა თუ ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მოგახსენეთ უკვე, რამდენჯერ გახლდით იტალიაში და ამ ორკესტრის არაჩვეულებრივ მუსიკოსებთან ურთიერთობის ბედნიერებაც არაერთხელ მქონდა. ანსამბლის წევრებისთვის მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზი იყო ჩემი დანახვისთანავე ორკესტრის მიერ აჟღერებული უკვდავი „თბილისო“, რამაც მათი აღტაცება დაიმსახურა. დასამახსოვრებელი იყო, ასევე, ვენეციაში, დიდ არხზე ,(„Grand Canal“) ჩვენი ანსამბლის წევრების მიერ შესრულებული ქართული ჰანგებით აღფრთოვანებული უცხოელი მგზავრების ხანგრძლივი ოვაციები...

რადგან საფრანგეთში, ფესტივალზე ჩასვლამდე, მონაკოს და მონტე-კარლოს მონახულებაც შეგვეძლო, ეს შესაძლებლობაც გამოვიყენეთ – სტუდენტებმა ფეხით მოიარეს ქალაქის ისტორიული ადგილები და შემდეგ ჩავედით ტულუზაში, მოვასწარით მისი დათვალიერებაც და დანიშნულ დროს ანსამბლი უკვე ფესტივალზე წარდგა. მოვინახულეთ, ასევე, სამხრეთ საფრანგეთის მთიანი მხარე, რომელმაც გაგვაოცა სილამაზით და საქართველოსთან მსგავსებით.

მახარებს, რომ ძალიან კმაყოფილია ანსამბლის ახალი თაობა, რომლისთვისაც, პანდემიისშემდგომ, ეს იყო პირველი საგასტროლო ტურნე უცხოეთში. ვისარგებლებ შემთხვევით და დიდ მადლობას გადავუხდი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წლების მანძილზე ანსამბლის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და თანადგომისთვის.

ფესტივალის და ევროპაში მოგზაურობის შესახებ სიამოვნებით გაგვიზიარა შთაბეჭდილება ანსამბლის წევრმა რუსუდან ანთიძემ, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ცეკვავს ანსამბლში, ამჟამინდელი საგასტროლო ტურნე კი განსაკუთრებით დასამახსოვრებელი აღმოჩნდა მისთვის:

კოვიდპანდემიის შემდეგ, ჩვენი ანსამბლის ტრადიციული საგასტროლო მოგზაურობების ციკლი, წელს კვლავ განახლდა. ეს იყო ჩვენი საოცარი მოგზაურობა სასიამოვნო შთაბეჭდილებებით და დადებითი ემოციებით. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ქალაქი ბარი, ცხადია, – რომი, სადაც კულტურის ცენტრის დირექტორი, ბატონი ბადრი მაჭავარიანი, 23-ედ იმყოფებოდა და გასაკვირი არაა, რომ შეძლო ერთ დღეში ეჩვენებინა და სრულფასოვნად გაეცნო ჩვენთვის ქალაქის ყველა ღირსშესანიშნაობა; შემდეგ – დაუვიწყარი ვენეცია, ძნელად დასაჯერებელი და ამაღელვებელი სანახაობა სან-მარკოს მოედანზე, როცა ბატონი ბადრის დანახვისთანავე ორკესტრმა რევაზ ლაღიძის „თბილისო“ შეასრულა და ჩვენ, აღფრთოვანებულები, დიდხანს ვუკრავდით ტაშს ამ ჩვენთვის მოულოდნელ და არაჩვეულებრივ შესრულებას; ზღაპრული მოგზაურობა მონაკოში გაგრძელდა და სამხრეთ საფრანგეთში, ტულუზაში დასრულდა. მეორე დღეს ანსამბლი საერთაშორისო ფესტივალზე წარდგა მრავალრიცხოვანი პუბლიკის წინაშე. ფრანგებმა საოცარი მასპინძლობა გაგვიწიეს. ერთი კვირის მანძილზე ყოველ საღამოს ვმართავდით კონცერტებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ბოლოს გაიმართა გრანდიოზული კონცერტი, რომლის დახურვის პატივი ჩვენს ანსამბლს ხვდა წილად. სიტყვებით რთულია იმ ემოციის გადმოცემა, რასაც ყოველი კონცერტის შემდეგ ვიღებდით მაყურებლისგან – სათითაოდ მოდიოდნენ თითოეულ მოცეკვავესთან, მომღერალთან და მადლობას უხდიდნენ დაუვიწყარი სანახაობისთვის. ცხადია, გვჯეროდა, რომ მოწონებას დავიმსახურებდით, თუმცა ამხელა წარმატებას არ ველოდით და ძალიან კმაყოფილები და ბედნიერები გამოვეშურეთ სამშობლოსკენ.

„ცხოვრება ის არის, რაც გვახსოვს, დანარჩენი არსებობაა“... და მე ზუსტად ვიცი, რომ ეს საოცარი მოგზაურობა, მრავალი წლის შემდეგაც, აუცილებლად იქნება ჩემი ცხოვრების ძალიან ლამაზი მოგონება. მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო თსსუ-ის რექტორს, ბატონ **ზურაბ ვადაჭკორიას** და კანცლერს, ბატონ **ზურაბ ორჯონიკიძეს,** რომელთა ძალისხმევითაც უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული სტუდენტებისთვის; დიდი მადლობა ჩვენს მუსიკოსებს, პედაგოგებს: ბატონ დავით უგრეხელიძეს, ქალბატონ ინეზა კუპრეიშვილს და ბატონ დავით რატიანს – მათი დაუღალავი შრომისა და მონდომების შედეგია, რომ ჩვენი ანსამბლი ღირსეულად წარდგა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში; დაბოლოს, განსაკუთრებული მადლობა ჩვენს ხელმძღვანელს, ბატონ ბადრი მაჭავარიანს, რომელიც უზომოდ შეყვარებულია თავის საქმეზე და მრავალი წელია ღირსეულად ემსახურება კულტურული ცხოვრების კიდევ უფრო განვითარებას ჩვენს საყვარელ Alma Mater-ში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

ნატო ბოლქვაძე

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64 რედაქტორი ლელა მუკბანიანი
კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ.:555 29 98 27 დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu